საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რეპუბლიკის მთავრობას შორის

საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვების ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება საბაჟო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების საკითხების დარეგულირება, რომელიც დამყარებული იქნება ორმხრივად შეთანხმებულ სამართლებრივ დებულებებზე.

სომხეთის რესპუბლიკა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად იზრდება.

წარმოდგენილი შეთანხმების ტექსტი ეფუძნება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (მსო) 2003 წლის საერთაშორისო კონვენციას საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ, აგრეთვე ამავე ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ 2002 წლის სამოდელო ორმხრივ შეთანხმებას.

შეთანხმების დებულებებთან მიმართებაში აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი:

1. პირველი მუხლის (განსაზღვრებები) ა) პუნქტით მოცემულია მხარეთა საბაჟო სამსახურების განმარტება. საქართველოს მხარისათვის ეს ტერმინი მოიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. საქართველოს მხრიდან ორი კომპეტენტური ორგანოს არსებობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო სფეროში შემავალი საკითხები განაწილებულია აღნიშნულ ორგანოებს შორის.

2. პროექტის 23-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ შეთანხმების შესრულების კოორდინაციას საქართველოს მხრიდან მოახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

შეთანხმების გაფორმების შედეგად შეიქმნება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ორ ქვეყანას შორის საბაჟო საკითხებში ინფორმაციის გასაცვლელად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენის თაობაზე თხოვნის გასაგზავნად. ამავე დროს შესაძლებელი გახდება ე.წ. "სარკისებური" ანალიზის ჩასატარებლად საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება.

შეთანხმების ხელმოწერა არ გამოიწვევს საქართველოსთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღებას. მისი განხორციელება მოხდება კომპეტენტური უწყებების ასიგნებების ფარგლებში.

წარმოდგენილი შეთანხმების გაფორმება ხელს შეუწყობს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ გაფართოვებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს, ასევე გათვალისწინებულია ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.